# ხელშეკრულება №15-07
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*ქ. თბილისი* *15 ივლისი 2012 წელი*

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მაღლენა ხელაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „არტ ქორნერი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის სალომე ჩახუნაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის საკუთარი სახსრებით ფირფიტები, რომლებზეც წარწერილია სახელი (CPV 44423450) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი და ფასები მოცემულია ცხრილში.

| *№* | *დასახელება* | *მახასიათებლები* | *რ-ბა* | *ერთეულის ფასი (ლარი)* | *საერთო ფასი (ლარი)* |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საინფორმაციო დაფა სართულების ნუმერაციით, დასახელებითა და სიმბოლიკით (ლოგო) | ზომა: 180X80<br>მასალა: დიბონდისა და შავი ორგმინის ფონზე დამაგრებული გამჭვირვალე ორგმინა, სართულის აღმნიშვნელი მოცულობითი ციფრით და მუქი ფერის არაკალში გამოჭრილი ცვლადი (მოსახსნელი) ფირფიტით (სიმყარის მიზნით დაფაზე უკანა მხრიდან უნდა გამაგრდეს ლამინატის ფირფიტა) | 1 | 1100 | 1100 |
| 2 | სართულის ნომრისა და დასახელების აღმნიშვნელი აბრა ლიფტის უჯრედისათვის (VII სართ.) | ზომა: 80X180<br>მასალა: დიბონდისა და შავი ორგმინის ფონზე დამაგრებული გამჭვირვალე ორგმინა, სართულის აღმნიშვნელი მოცულობითი ციფრით და მუქი ფერის არაკალში გამოჭრილი ცვლადი (მოსახსნელი) ფირფიტით | 1 | 500 | 500 |
| 3 | ოთახების აბრები | ზომა: 40X15<br>მასალა: დიბონდის და შავი ორგმინის ფონზე დამაგრებული გამჭვირვალე ორგმინა მუქი ფერის არაკალში გამოჭრილი ცვლადი (მოსახსნელი) ფირფიტით | 17 | 33 | 561 |
| | ჯამი | | | | 2161 |

## *3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა *2161 (ორიათასსამოცდაერთი) ლარი.*

## *4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის **საკუთარი სახსრებით.**
4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 21 ივლისამდე.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება და მათი მონტაჟი უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ.თბილისი, მინდელის ქ. №9, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილებზე.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
7.2. მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადად განისაზღვრა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 2 წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

## *10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში თუ, პირგასამტეხლოს ჯამური თანხა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება და მოითხოვოს დამატებით პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.
10.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.
10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მ.თოფურია (ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი).
14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## *15. სხვა პირობები*

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ.თბილისი, მინდელის ქ. №9
ს.ს. „ბაზის ბანკი“
ა/ა 133560
ბ/კ 220101956
ს/კ 202198727

დირექტორის მ/შ
მაღლენა ხელაშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს „არტ ქორნერი“
ქ. თბილისი, მაჯავარიანის ქ. №21
ს.ს „თიბისი ბანკი“
ა/ა GE62TB7760136050100001
ბ/კ TBCBGE22
ს/კ 404414120

დირექტორი:
სალომე ჩახუნაშვილი